



## საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

ქუთაისი 4600, ირაკლი აბაშიძის გამზირი № 26  
პარლამენტის სასახლე

### ბრძანება

N 348/3

08/12/2017

**„საქართველოს პარლამენტის აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასასაქმებელ პირთა მისაღებად გამარტივებული საჯარო კონკურსების გამოცხადებისა და ჩატარების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 25 ივლისის №238/3 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

რეორგანიზაციის შედეგად საქართველოს პარლამენტის აპარატის საკადრო საკითხთა დეპარტამენტის ადამიანური რესურსებისა და ინსტიტუციური განვითარების დეპარტამენტად გარდაქმნასთან დაკავშირებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 107-ე მუხლის „ლ“ და „ჰ“ ქვეპუნქტებისა და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“ III თავის შესაბამისად:

1. „საქართველოს პარლამენტის აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასასაქმებელ პირთა მისაღებად გამარტივებული საჯარო კონკურსების გამოცხადებისა და ჩატარების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 25 ივლისის №238/3 ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს პარლამენტის აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასასაქმებელ პირთა მისაღებად გამარტივებული საჯარო კონკურსების გამოცხადებისა და ჩატარების უფლებამოსილება მიენიჭოს საქართველოს პარლამენტის აპარატის ადამიანური რესურსებისა და ინსტიტუციური განვითარების დეპარტამენტის უფროსს მარინე ასათიანს.“

2. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრამის ქ. №11).

პარლამენტის თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი

თამარ ჩუგოშვილი

A handwritten signature in blue ink, consisting of stylized cursive letters, positioned to the right of the name 'თამარ ჩუგოშვილი'.